ТИБИСИ БАНКИ
TBC BANK

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ------ თავსართი

წელი, რიცხვი, თვე

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	**რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:** თარიღი -დან ინდექსირებული **მთელპერიოდზე ფიქსირებულპროცენტიანი სესხებისთვის:** ფიქსირებული **სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე სესხებისთვის:** თარიღიდან ფიქსირებული თარიღიდან ინდექსირებული
საპროცენტო განაკვეთი:	**რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:** წლიური X% (რეფინანსირების განაკვეთს + X%) **მთელპერიოდზე ფიქსირებულპროცენტიანი სესხებისთვის:** წლიური X % **სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე სესხებისთვის:** თარიღიდან - წლიური ფიქსირებული X% თარიღიდან (შემდგომში "ცვლილების თარიღი") წლიური ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგნაირად : X6%-ს (საბაზისო განაკვეთი) დამატებული ცვლილების თარიღში არსებული რეფინანსირების განაკვეთი.
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	X% **რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:**

	კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში
	სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე სესხებისთვის:
	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია შემდეგი დაშვებით: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფიქსირებულ პერიოდზე/ებზე, ფიქსირებული პერიოდ(ებ)ისთვის განსაზღვრული შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით), ხოლო ფიქსირებული პერიოდის გასვლის შემდეგ, სესხის ვადის ბოლომდე, პროცენტი დაიანგარიშება შემდეგნაირად - ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებულ (დაფიქსირებულ) საჯარო ინდექსს დამატებული ბანკის პროცენტი (საბაზისო განაკვეთი).
	კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
საკომისიო კრედიტის აუთვისებლობისთვის:	**ტრანშებად გაცემის შემთხვევაში:**
	აუთვისებელი თანხის X%
	ფინანსური ხარჯები:
ყოველთვიური შენატანი: (ძირითადი თანხა+პროცენტი):	Y
ვადის ბოლოს შენატანი	თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
საკომისიო კრედიტის გაცემისთვის	
ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიო	
სადაზღვევო ხარჯები	
	ხელშეკრულების სხვა პირობები
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:	
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის	

კრედიტის ვადა:	(ვადა დღეებში)
საკრედიტო ხელშეკრულების	ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი
მოქმედების ვადა:	ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე

პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	ერთჯერადად არაუმეტეს 20 (ოცი) ლარი ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე. დავალიანების თანხის 0,5 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
საკომისიო წინსწრებით დაფარვისთვის:	**ფიქსირებულ პროცენტის შემთხვევაში:** კრედიტის სრულად დაფარვის (დახურვის) შემთხვევაში: 2% (მაგრამ არაუმეტეს, ამავე პუნქტში შესაბამისი პერიოდულობის გათვალისწინებით მოცემული მაქსიმალური ოდენობისა). გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის: 0-Y-მაგ ოდენობაზე წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის X%. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობა ძალაშია (მოქმედებს) კალენდარული თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ. X% საკუთარი სახსრებით სესხის დახურვისას. Y-მაგზე მეტი ოდენობით წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის Z%. მაგრამ არაუმეტეს: 2% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი 1% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე 0.5% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე 0% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები

რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:

კრედიტის სრულად დაფარვის (დახურვის) შემთხვევაში: 0.5% (მაგრამ არაუმეტეს, ამავე პუნქტში შესაბამისი პერიოდულობის გათვალისწინებით მოცემული მაქსიმალური ოდენობისა). გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის:

0-Y-მაგ ოდენობაზე წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის X%. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობა ძალაშია (მოქმედებს) კალენდარული თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ.

X% საკუთარი სახსრებით სესხის დახურვისას.

Y-მაგზე მეტი ოდენობით წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის Z%.

მაგრამ არაუმეტეს:
გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის:
0.5% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი
0% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.

სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობის შემთხვევაში:

საშეღავათო პერიოდში სესხზე უცვლელად და უწყვეტად ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, გრაფიკის შესაბამისად. სესხის ნაწილობრივ/სრულად წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების თარიღამდე (დღემდე) დარიცხული ყველა გადასახდელი, მათ შორის, სადაზღვევო პრემია (დაზღვევის არსებობის შემთხვევაში) და საპროცენტო სარგებელი, იმ პროპორციულობით, რაც დარიცხულია წინსწრების თარიღამდე (დღემდე), თუ წინსწრება ხორციელდება საშეღავათო პერიოდში, ხოლო საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდგომ, მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული (გრაფიკის მიხედვით მომავალ

	გადასახდელ(ებ)ში გადანაწილებული) საპროცენტო სარგებელი, ისევე როგორც საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდგომ წინსწრების თარიღამდე (დღემდე) დარიცხული საპროცენტო სარგებელი, დაზღვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახდელები
საკომისიო სხვა ბანკის სესხით რეფინანსირებისთვის:	**ფიქსირებულ პროცენტის შემთხვევაში:** გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის 2%, მაგრამ არაუმეტეს : 2% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი 1% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე 0.5% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე 0% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები **რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:** გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის: 0.5%, მაგრამ არაუმეტეს: 0.5% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი 0% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

• ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.
• წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
• მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;
გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემული სესხებისთვის

• ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.
რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის: **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი (გარდა ინფლაციის ინდექსზე მიბმულისა) მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!** **საჯარო ინდექსის ოდენობის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. კრედიტის გაცემიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ინდექსის ოდენობის შესაძლო 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი X%**
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2406 406

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X%

ყოველთვიური პროცენტი: Z.U % (წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთორმეტედი კრედიტის ნარჩენ ძირზე)

ფინანსური ხარჯები / ხელშეკრულების სხვა პირობები

გასატანი თანხის ოდენობა: XYZ. ლარი

კრედიტის გაცემის ფორმა: სესხი გაიცეს X ტრანშად

შეთანხმება # XXX საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დამატებითი პირობების შესახებ

ერთი მხრივ, **სს "თიბისი ბანკი"** (შემდგომში "ბანკი"), რომელსაც წარმოადგენს მისი (პოზიცია, სახელი გვარი) და მეორე მხრივ, **(სახელი გვარი)** (შემდგომში ''კლიენტი''/''მსესხებელი'') **(პასპორტის/პირადი ნომერი**) მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში ''ძირითადი ხელშეკრულების'') საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

იმ შემთხვევაში თუ გვაქვს სესხის გაცემამდე პირობები:

1.1 #---------- საბანკო კრედიტის ხელშეკრულების (შემდგომში „დამატებითი ხელშეკრულება") საფუძველზე გასაცემი საკრედიტო პროდუქტის გაცემის წინაპირობები / პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.1.1 კლიენტი ვალდებულია საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია / განახორციელოს შემდეგი ქმედებები / შეასრულოს შემდეგი ვალდებულებები:

1.1.1.1 სესხის გაცემამდე წინაპირობის აღწერა:

იმ შემთხვევაში თუ გვაქვს სესხის გაცემის შემდგომი პირობები:

1.2 #---------- საბანკო კრედიტის ხელშეკრულების („დამატებითი ხელშეკრულება") საფუძველზე გასაცემი საკრედიტო პროდუქტის გაცემის შემდგომი პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.2.1 კლიენტი ვალდებულია საკრედიტო პროდუქტის გაცემის შემდგომ წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია / განახორციელოს შემდეგი ქმედებები / შეასრულოს შემდეგი ვალდებულებები:

1.2.1.1 სესხის გაცემის შემდგომ შესასრულებელი პირობა:

იმ შემთხვევაში თუ გვაქვს სესხის სრულად გადაფარვის მოთხოვნა:

1.2.2 კრედიტის გაცემის შემდეგ უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემული საკრედიტო პროდუქტების სრულად დაფარვა:

1.2.2.1. სრულად გადასაფარი სესხის ნომერი

იმ შემთხვევაში თუ მოითხოვება სესხის ნაწილობრივი გადაფარვა

1.2.3 კრედიტის გაცემის შემდეგ უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემული საკრედიტო პროდუქტების ნაწილობრივი დაფარვა (ვალდებულების შემცირება):

1.2.3.1 ნაწილობრივ გადასაფარი სესხის ნომერი:

1.3 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

1.3.1 კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 4%-ით; დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან, რის შესახებაც კლიენტმა უნდა შეატყობინოს ბანკს) მაქსიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე);

1.3.2 მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

1.3.3 გამოიყენოს (განახორციელოს) ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ბანკისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

მხოლოდ ლარში გაცემული ცვლად პროცენტიანი სესხებისთვის:

1.4 ასევე, ბანკს უფლება ექნება კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი 4%-ით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში:

• იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის სესხების ძირითადი თანხების გადაუხდელი ნაშთების ჯამური მოცულობა გადააჭარბებს 400 000 ლარს;
• კლიენტი ჯამში 30 (ოცდაათ) დღეზე მეტით დააგვიანებს რომელიმე, რამდენიმე ან ყველა კომერციული ბანკის მიმართ ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებას (კლიენტს დაუფიქსირდება ჯამში 30 დღიანი ვადაგადაცილება);
• ბანკი ჩათვლის, რომ გაუარესდა კლიენტის ფინანასური ან/და ქონებრივი მდგომარეობა;
• კლიენტი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას სხვა საკრედიტო/საფინანსო დაწესებულებიდან (მათ შორის ბანკებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან); ამასთან კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისთანავე ბანკს წარუდგინოს წერილობით ზემოაღნიშნული ვალდებულების არსებობა/არ არსებობის დამადასტურებელი ცნობა.

რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში

1.5 წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სანქციებთან ერთად, ბანკი ასევე უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაფარ/გადასაფარ საკრედიტო პროდუქტებზე ვადაგადაცილების მიზეზით პირგასამტეხლოს სახით დარიცხული ვადაგადაცილების ჯარიმის თანხა/ები (-- ლარი; აშშ დოლარი; ევრო).”

1.6 დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ბანკი უფლებამოსილია ამ შეთანხმებით (შესაბამისი პუნქტებით/ქვეპუნქტებით) განსაზღვრულ ქმედებებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს საქართველოში მოქმედ

სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიების დაწყებისა და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.7 ეს შეთანხმება არის დამატებითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.8 ეს შეთანხმება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

1.9 ეს შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცემა კლიენტს.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

თბილისი **თარიღი**

ერთი მხრივ, **სს "თიბისი ბანკი"** (შემდგომში "ბანკი"), რომელსაც წარმოადგენს მისი (პოზიცია, სახელი გვარი) და მეორე მხრივ, **(სახელი გვარი)** (შემდგომში ''კლიენტი''/''მსესხებელი'') **(პასპორტის/პირადი ნომერი)** მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში ''ძირითადი ხელშეკრულების'') საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება

1.2. საბანკო კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

2. საბანკო კრედიტის ძირითადი პირობები

2.1	ძირითადი ხელშეკრულება (ხელშეკრულებები):	საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება
2.1.1	კრედიტის ტიპი:	
2.2	კლიენტ(ებ)ი	**სახელი გვარი (პასპორტის/პირადი ნომერი)**
2.3	კრედიტის თანხა:	
2.3.1	მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	
2.4	კრედიტის ვადა:	ვადა დღეებში
2.5	საპროცენტო განაკვეთი:	**მთელპერიოდზე ფიქსირებულპროცენტიანი სესხებისთვის:** წლიური KK%

რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:

წლიური KK% (SS%-ს (შემდგომში "საბაზისო განაკვეთი") დამატებული ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი (შემდგომში „საბაზისო განაკვეთის დანამატი"))

სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე სესხებისთვის:

(თარიღი1) - წლიდან წლიური ფიქსირებული XX% (აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი გავრცელდება კრედიტი ვადის ბოლომდე იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული მომდევნო პერიოდი, როდესაც განხორციელდება წლიური ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის

(თარიღი2) - წლიდან (შემდგომში "ცვლილების თარიღი") საბანკო კრედიტის ხელშეკრულები მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, წლიური ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი (შემდგომში "ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი") განისაზღვრება შემდეგნაირად: YY% (შემდგომში "საბაზისო განაკვეთი") დამატებული ცვლილების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის, შემდრომში "საჯარო ინდექსი") განაკვეთი.

რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:

ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი (საბაზისო განაკვეთს დამატებული საჯარო ინდექსი) შეიცვლება (შემცირდება ან გაიზრდება) საჯარო ინდექსის ცვლილების განხორციელებიდან (შემდგომში "ცვლილების თარიღი") მომდევნო კალენდარულ დღეს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიცვლება (შემცირდება ან გაიზრდება) საჯარო ინდექსი. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა განხორციელდება ცალმხრივად ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარულ დღეს. საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ განხორციელდება ცვლილების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

მაგალითი #1: თუ საბანკო კრედიტის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი ცვლილების თარიღისთვის იყო 10% და ცვლილების თარიღის შემდგომ საჯარო ინდექსის განაკვეთი შემცირდა 0.25%-ით, კრედიტის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი შემცირდება შესაბამისი ოდენობით ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარულ დღეს (გახდება 9.75%).
მაგალითი #2: თუ საბანკო კრედიტის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი ცვლილების თარიღისთვის იყო 10% და ცვლილების თარიღის შემდგომ საჯარო ინდექსის განაკვეთი გაიზარდა 0.25%-ით, კრედიტის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება შესაბამისი ოდენობით ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარულ დღეს (გახდება 10.25%).
საჯარო ინდექსის (ინდექსის მიერ მიღებული მნიშვნელობების) შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს შემდეგ ვებგვერდზე: http://nbg.gov.ge/.
საპროცენტო სარგებელი ფორმირებულია შემდეგნაირად: საბაზისო განაკვეთს დამატებული საბაზისო განაკვეთის დანამატი (საჯარო ინდექსი).
საბაზისო განაკვეთის დანამატი / საჯარო ინდექსი - წარმოადგენს საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთს რომელიც შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა განხორციელდება ცალმხრივად, ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარულ დღეს. საბაზისო განაკვეთის დანამატის / საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ განხორციელდება ცვლილების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

საბაზისო განაკვეთი - წარმოადგენს ბანკის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ასევე შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). მისი ცვლილება და შესაბამისი ცვლილებით განსაზღვრული ოდენობა განისაზღვრება ბანკში მოქმედი საკრედიტო პოლიტიკით, ბანკსა და კლიენტს შორის დადებული შესაბამისი გარიგებებით ან/და საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების ცვლილებით. ბანკი უფლებამოსილია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის სხვაობის დარიცხვა განახორციელოს ცალმხრივად, ამის შესახებ კლიენტისთვის ორი თვით ადრე შეტყობინების მიწოდების გზით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ხდება ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე). სხვაობის დარიცხვა მოხდება შეტყობინებიდან ორი თვის შემდგომ;

ნებისმიერ შემთხვევაში, ცვლილების თარიღისთვის და/ან ცვლილების თარიღის შემდეგ, კრედიტის ვადის ამოწურვამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთის (საბაზისო განაკვეთს დამატებული ცვლილების თარიღისთვის არსებული საბაზისო განაკვეთის დანამატი (საჯარო ინდექსი)) მინიმალური ზღვარი არ იქნება 3.5%-ზე (შემდგომში "მინიმალური საპროცენტო განაკვეთი") ან საბაზისო განაკვეთზე ნაკლები (ამასთან, მინიმალურ საპროცენტო განაკვეთსა და საბაზისო განაკვეთს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის მინიმალური ზღვარი იქნება, ხსენებულ განაკვეთებს შორის უდიდესის ტოლი), ხოლო მაქსიმალური ზღვარი არ გადააჭარბებს 23.7%-ს.

ყოველგვარი გაუგებრობის / ორაზროვნების / ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები განმარტავენ და თანხმდებიან, რომ თუ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაზისო განაკვეთის დანამატი (საჯარო ინდექსი) შემცირდება და შემცირების შედეგად მიიღებს უარყოფით (ნულზე ნაკლებ) მნიშვნელობას, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის საბაზისო განაკვეთის დანამატის (საჯარო ინდექსის) მნიშვნელობა განისაზღვრება ნულის ტოლად.

2.5.1 საპროცენტო განაკვეთის ტიპი: **რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:**

თარიღი 1-დან ინდექსირებული

მთელპერიოდზე ფიქსირებულპროცენტიანი სესხებისთვის:

ფიქსირებული

სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე სესხებისთვის:

თარიღი 2 ფიქსირებული

თარიღი 3- დან ინდექსირებული

2.6 კრედიტის მიზნობრიობა:

2.7 კრედიტის გაცემის ფორმა: ტრანშებად ათვისება / თანდართული გრაფიკის მიხედვით

2.8 კრედიტის დაფარვის გრაფიკი: თანდართული გრაფიკის მიხედვით

კლიენტის/მსესხებლის მიერ ტრანშის ათვისების შემთხვევაში, ბანკი მოახდენს ტრანშის ვადის შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით სესხის დაფარვის გრაფიკის აგებას ანუიტეტის პრინციპით, რაც გულისხმობს სესხის დაფარვას დროის თანაბარი პერიოდულობით თანაბარი მოცულობის თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) გადახდას. სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, რომელზეც კლიენტის ხელმოწერა არ არის სავალდებულო. ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკი შეგიძლიათ მოითხოვოთ სს ,,თიბისი ბანკის'' ნებისმიერ ფილიალში/სერვის-ცენტრში ან იხილოთ თქვენს ინტერნეტ ბანკში.

სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობის შემთხვევაში:

საშეღავათო პერიოდში სესხზე უცვლელად და უწყვეტად ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, გრაფიკის შესაბამისად. სესხის ნაწილობრივ/სრულად წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების თარიღამდე (დღემდე) დარიცხული ყველა გადასახდელი, მათ შორის, სადაზღვევო პრემია (დაზღვევის არსებობის შემთხვევაში) და საპროცენტო სარგებელი, იმ პროპორციულობით, რაც დარიცხულია წინსწრების თარიღამდე (დღემდე), თუ წინსწრება ხორციელდება საშეღავათო პერიოდში, ხოლო საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდგომ, მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული (გრაფიკის მიხედვით მომავალ გადასახდელ(ებ)ში გადანაწილებული) საპროცენტო სარგებელი, ისევე როგორც საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდგომ წინსწრების თარიღამდე (დღემდე) დარიცხული საპროცენტო სარგებელი, დაზღვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახდელები

2.8.1 კრედიტის დაფარვის გრაფიკის ცვლილება: ცვლილების თარიღის შემდეგ გადახდის გრაფიკი შეიცვლება ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებული წლიური საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებული წეს(ებ)ის შესაბამისად. ცვლილების თარიღის შემდეგ კრედიტის დაფარვის განახლებული (შეცვლილი) გრაფიკი კლიენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება ბანკის სხვადასხვა ელექტრონული / დისტანციური არხების მეშვეობით. ასევე გადახდის განახლებული გრაფიკი შესაძლებელია კლიენტმა მოითხოვოს და მიიღოს ბანკის ნებისმიერ ფილიალში /სერვისცენტრში.

2.9	ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	ერთჯერადად არაუმეტეს 20.00 ლარი ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას
2.10	ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	დავალიანების თანხის 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას
2.11	საკომისიო ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის:	**ფიქსირებულ პროცენტის შემთხვევაში:** კრედიტის სრულად დაფარვის (დახურვის) შემთხვევაში: 2% (მაგრამ არაუმეტეს, ამავე პუნქტში შესაბამისი პერიოდულობის გათვალისწინებით მოცემული მაქსიმალური ოდენობისა). გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის: 0-Y-მაგ ოდენობაზე წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის X%. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობა ძალაშია (მოქმედებს) კალენდარული თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ. X% საკუთარი სახსრებით სესხის დახურვისას. Y-მაგზე მეტი ოდენობით წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის Z%. მაგრამ არაუმეტეს: 2% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი 1% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე 0.5% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე 0% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები **რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:** კრედიტის სრულად დაფარვის (დახურვის) შემთხვევაში: 0.5% (მაგრამ არაუმეტეს, ამავე პუნქტში შესაბამისი პერიოდულობის გათვალისწინებით მოცემული მაქსიმალური ოდენობისა). გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის: 0-Y-მაგ ოდენობაზე წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის X%. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობა ძალაშია (მოქმედებს) კალენდარული თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ. X% საკუთარი სახსრებით სესხის დახურვისას.

Y-მაგზე მეტი ოდენობით წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის Z%.

მაგრამ არაუმეტეს:
გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის:
0.5% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი
0% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.

2.12 საკომისიო სხვა ბანკის სესხით რეფინანსირებისთვის:

ფიქსირებულ პროცენტის შემთხვევაში:

გადახდის მომენტში გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური შემოსატანი ძირის, დარიცხული პროცენტის და დაზღვევის თანხის 2 %, მაგრამ არაუმეტეს:

2% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი

1% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე

0.5% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე

0% - თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები

რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის:

გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის:
0.5%,
მაგრამ არაუმეტეს:
0.5% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი
0% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები

2.13 საკომისიო კრედიტის დამტკიცებისთვის:

2.14 საკომისიო კრედიტის გაცემისთვის:

2.15 საკომისიო კრედიტის აუთვისებლობისთვის:

ტრანშებად გაცემის შემთხვევაში:

აუთვისებელი თანხის X%

2.16 დამატებითი პირობები:

მსესხებელი აცხადებს თანხმობას კრედიტის მოქმედების პერიოდში და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ ვადაში ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობებით უზრუნველყოს უზრუნველყოფაში აღნიშნული ავტომობილის დაზღვევა მინიმუმ საბაზრო ღირებულების ოდენობით მის/მათ მიერ შერჩეულს სადაზღვევო კომპანიაში.

მსესხებელი/მსესხებლები აცხადებს თანხმობას კრედიტის მოქმედების პერიოდში და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ ვადაში, ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობებით უზრუნველყოს იპოთეკის საგნის დაზღვევა კრედიტის თანხის ფარგლებში (ქონების დაზღვევის პოლის(ებ)ში მითითებული სადაზღვევო თანხის შესაბამისად) მსესხებლის მიერ შერჩეულ სადაზღვევო კომპანიაში იმ პირობით, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლის(ებ)ით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი.

მსესხებელი/მსესხებლები აცხადებს თანხმობას კრედიტის მოქმედების პერიოდში და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ ვადაში, ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობებით უზრუნველყოს სიცოცხლის ან/და უბედური შემთხვევის დაზღვევა კრედიტის მიმდინარე ოდენობაზე (სიცოხლის დაზღვევის პოლის(ებ)ში მითითებული სადაზღვევო თანხის შესაბამისად) მსესხებლის მიერ შერჩეულ სადაზღვევო კომპანიაში იმ პირობით, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლის(ებ)ით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი.

მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე საფინანსო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე ბანკმა მსესხებელს შესთავაზა 3 სადაზღვევო კომპანიის: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ (ს/კ 205023856), სს „თიბისი დაზღვევის“ (ს/კ 405042804), სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ (ს/კ 204426674) ალტერნატივა, გააცნო და მიაწოდა მათი სადაზღვევო პირობები / საინფორმაციო ფურცელი, რომლიდანაც კლიენტმა აირჩია სს "---- ----" (ს/კ -----). მსესხებლები ვალდებულნი არიან სესხის მოქმედების განმავლობაში გადახდის გრაფიკის შესაბამისად გადაიხადონ სადაზღვევო პრემია/დაზღვევის მართვის საკომისიო/დაზღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი.

დაზღვეული მოსარგებლეს (ბანკს) ანიჭებს უფლებამოსილებას, დაზღვეულის მიერ გადასახდელი სიცოცხლის/ქონების სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მოსარგებლემ (ბანკმა), საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისთვის, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა. ზემოხსენებული პირობის შესაბამისად, ბანკის მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს (დაზღვეულს) მოსთხოვოს ბანკის მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვევლისთვის გადახდილი თანხის ბანკის სასარგებლოდ სრულად გადახდა.

დაზღვევა ითვლება შეწყვეტილად/შეჩერებულად (ბანკის შეხედულებისამებრ) დაზღვეულის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. მიუხედავად ხსენებულისა, მოსარგებლე (ბანკი) უფლებამოსილია განაახლოს დაზღვევა (ცალმხრივად აღადგინოს დაზღვევის წინამდებარე პირობები), იმ შემთხვევაში, თუ სრულად განხორციელდება ბანკის მიმართ დაზღვეულის დავალიანების დაფარვა. თუმცა, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება ვადაგადაცილების (დავალიანების) არსებობის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.

სადაზღვევო ანაზღაურების პროცენტული ოდენობა: (სახელი გვარი პირადი/პასპორტი ნომერი) : X%

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაფარი ვალდებულებების (საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის) სრულად დაფარვის / გაუქმების შემდგომ (თუ ხელშეკრულების მიზნობრიობას წარმოადგენს მხოლოდ არსებული საკრედიტო ვალდებულებების (საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის) დაფარვა/რეფინანსირება), ამავე ვალდებულებების (საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის) დასაფარად მიმართული თანხიდან, კლიენტის ანგარიშზე დარჩენილი ხელმისაწვდომი თანხის არსებობის შემთხვევაში,

ხსენებული თანხა ბანკის ცალმხრივი გადაწყვეტილების შესაბამისად, ავტომატურად მიემართება წინამდებარე სესხის წინსწრებით (ვადაზე ადრე) დასაფარად, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.
ყოველი მომდევნო ტრანში გაიცეს, მას შემდეგ, რაც შესრულდება წინა ტრანშით განსაზღვრული პირობები.

რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

- კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 4%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით); დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან, რის შესახებაც კლიენტმა უნდა შეატყობინოს ბანკს) მაქსიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე);
- მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გამოიყენოს (განახორციელოს) ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ბანკისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

2.17 ოფსეტის ანგარიში

2.18 სესხის/საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელება:

დაგრძელვადიანების პირობით გაცემული სესხებისთვის, შესაბამისი პირობების მიხედვით, ხელშეკრულებაში შესაძლოა გვქონდეს შემდეგი სამი ჩანაწერიდან ერთ-ერთი:

1. **<u>ხელშეკრულება, რის თანახმადაც, საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების პირობა ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე:</u>**

„კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ კრედიტის ვადაში მიმართოს ბანკს და მოითხოვოს (ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული) წინამდებარე კრედიტის მოქმედების ვადის გაგრძელება.

„ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის მოთხოვნით, ზემოაღნიშნული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას არაუმეტეს ''ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების'' დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანებით (შემდგომში ''ბრძანება'') განსაზღვრული შესაბამისი ტიპის სესხისთვის / საკრედიტო პროდუქტისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით,

რომლის ათვლა განხორციელდება სესხის გაცემის მომენტიდან. კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ბანკი იხელმძღვანელებს წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი ბრძანებით გათვალისწინებული მაქსიმალური ვად(ებ)ით.

ამასთან, თუ ბანკის საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული კლიენტის ასაკობრივი შეზღუდვის გამო (70 წელი) არ არის შესაძლებელი კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელება ბრძანებით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით, ასეთ შემთხვევაში, ბანკი მოახდენს კლიენტთან გაფორმებული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას ბანკში არსებული საკრედიტო პოლიტიკის პირობების (ვადის) შესაბამისად, რა ვადაზეც დათვლილი იქნა ბრძანებით გათვალისწინებული სესხის მომსახურების კოეფიციენტი სესხის გაცემის დროს.“

2. <u>ხელშეკრულება, რის თანახმადაც, საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების პირობა ვრცელდება როგორც კონკრეტულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე, ასევე ამავე კონკრეტულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, კლიენტის სხვა, მიმდინარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებ(ებ)ზე:</u>

„კლიენტი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ კრედიტის ვადაში მიმართოს ბანკს და მოითხოვოს (ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული) წინამდებარე კრედიტის მოქმედების ვადის გაგრძელება.

კლიენტი უფლებამოსილია, ქვემოთ მითითებული საბანკო კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადაში მიმართოს ბანკს და მოითხოვოს მისი/მათი მოქმედების ვადის გაგრძელება:

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება/ები: ---------- *<u>(შენიშვნა: შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ნომრები, რომელთა ვადის გაგრძელებაა შესაძლებელი).</u>*

„ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის მოთხოვნით, ზემოაღნიშნული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას არაუმეტეს ''ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების'' დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანებით (შემდგომში ''ბრძანება'') განსაზღვრული შესაბამისი ტიპის სესხისთვის / საკრედიტო პროდუქტისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით, რომლის ათვლა განხორციელდება სესხის გაცემის მომენტიდან. კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ბანკი იხელმძღვანელებს წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი ბრძანებით გათვალისწინებული მაქსიმალური ვად(ებ)ით.

ამასთან, თუ ბანკის საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული კლიენტის ასაკობრივი შეზღუდვის გამო (70 წელი) არ არის შესაძლებელი კრედიტ(ებ)ის

მოქმედების ვადის გაგრძელება ბრძანებით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით, ასეთ შემთხვევაში, ბანკი მოახდენს კლიენტთან გაფორმებული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას ბანკში არსებული საკრედიტო პოლიტიკის პირობების (ვადის) შესაბამისად, რა ვადაზეც დათვლილი იქნა ბრძანებით გათვალისწინებული სესხის მომსახურების კოეფიციენტი სესხის გაცემის დროს.“

3. <u>ხელშეკრულება, რის თანახმადაც, საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების პირობა ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კლიენტის სხვა, მიმდინარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებ(ებ)ზე:</u>

„კლიენტი უფლებამოსილია, ქვემოთ მითითებული საბანკო კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადაში მიმართოს ბანკს და მოითხოვოს მისი/მათი მოქმედების ვადის გაგრძელება:

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება/ები: ---------- *<u>(შენიშვნა: შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ნომრები, რომელთა ვადის გაგრძელებაა შესაძლებელი).</u>*

„ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის მოთხოვნით, ზემოაღნიშნული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას არაუმეტეს ''ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების'' დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანებით (შემდგომში ''ბრძანება'') განსაზღვრული შესაბამისი ტიპის სესხისთვის / საკრედიტო პროდუქტისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით, რომლის ათვლა განხორციელდება სესხის გაცემის მომენტიდან. კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ბანკი იხელმძღვანელებს წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი ბრძანებით გათვალისწინებული მაქსიმალური ვად(ებ)ით.

ამასთან, თუ ბანკის საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული კლიენტის ასაკობრივი შეზღუდვის გამო (70 წელი) არ არის შესაძლებელი კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელება ბრძანებით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით, ასეთ შემთხვევაში, ბანკი მოახდენს კლიენტთან გაფორმებული კრედიტ(ებ)ის მოქმედების ვადის გაგრძელებას ბანკში არსებული საკრედიტო პოლიტიკის პირობების (ვადის) შესაბამისად, რა ვადაზეც დათვლილი იქნა ბრძანებით გათვალისწინებული სესხის მომსახურების კოეფიციენტი სესხის გაცემის დროს.“

2.19 საბანკო კრედიტი უზრუნველოფილია:

2.20 საკრედიტო შუამავალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

თუ საკრედიტო შუამავალი ინსაიდერია:

შუამავლის დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ბანკთან დაკავშირებული პირია, მაგრამ იგი არ წარმოადგნეს ბანკის საკონტაქტო პირს.

თუ საკრედიტო შუამავალი არ არის ინსაიდერი:

შუამავლის დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ბოჭორიშვილი არ წარმოადგნეს ბანკის საკონტაქტო პირს.

3. სხვა პირობები

3.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

3.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის

3.3 გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.

ეს ხელშეკრულება იმავდროულად არის კლიენტის განცხადება საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ და განაცხადი ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც კლიენტი ადასტურებს, რომ:

3.3.1 დეტალურად იცნობს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას;

3.3.2 თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები;

3.3.3 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში) კრედიტის დაფარვის (მომსახურების), ვალდებულებ(ებ)ის შესრულების, საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის ან/და საანაბრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;

3.3.4 ბანკს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და ა.შ.).

3.4 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ მიზნით, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე (თუ კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული) და/ან კლიენტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებით / კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ის ცალმხრივად განკარგვით, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას/ნაკისრ ვალდებულებას და/ან დადგება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი და/ან რომელიმე პირობა.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ: ა) კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ საკრედიტო ბაზარზე კრედიტით სარგებლობისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება; დ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საპროცენტო განაკვეთი. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ბანკის უფლებამოსილება ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი, ძალაში შევა მხოლოდ, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 5%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში.

3.5.1 ამგვარი ცვლილების შესახებ, ბანკი კლიენტის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე კლიენტისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოწვეული იქნება, კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევის საფუძვლით. ამასთან, წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

3.5.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი ვალდებული იქნება ზემოხსენებულ ვადაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

3.6 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge). კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს ,,თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge და ტელეფონის ნომერზე : 2272727

3.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა

3.8 წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვის საკითხი/უფლება, რეგულირდება წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით.

3.9 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება ნაკლებია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).

3.10 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების დადების ადგილია აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოს (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეული) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით: 1) 7 000 (შვიდი ათასი) ლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე (ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) - შპს „არბიტრაჟის სახლს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359); 2) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს (ან ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) ზემოთ - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205273005).

3.11 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან), გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს - შპს „არბიტრაჟის სახლს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359), თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება მეტია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან მის ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, დავის განხილვის ადგილია ქუთაისი.

3.12 მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა–შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მუდმივმოქმედი

საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად უცხოურ ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა), მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით ან/და კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

3.13 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი/არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან მას/მათ შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით საარბიტრაჟო დათქმა სხვადასხვაგვარად რეგულირდება, დავის შემთხვევაში, გამოიყენება მხარეთა შორის დადებული უახლესი ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმა.

3.14 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ნებისმიერი მიზეზით დაექვემდებარება სასამართლოს განსჯადობას (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზეზით და სხვ.) და განხილული იქნა სასამართლოს მიერ, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

3.15 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში

მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული

დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

3.16 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცემა კლიენტს.

სესხზე ოფსეტის პირობებში:

3.17 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ხელშეკრულების 2.17 პუნქტში მითითებულ კლიენტის კუთვნილი ანგარიში (შემდგომში „ოფსეტის ანგარიში“) გამოყენებული იქნეს „ოფსეტის ფუნქციით“ (შემდგომში „ოფსეტი“) სარგებლობისათვის, შემდეგი პირობებით:

3.17.1 ანგარიში, რომელზეც მოხდება ოფსეტ ფუნქციის გააქტიურება უნდა იყოს მხოლოდ საბარათე/მიმდინარე ანგარიში;

3.17.2 დაუშვებელია ოფსეტით სარგებლობისთვის კლიენტის სახელფასო ანგარიშის გამოყენება;

3.17.3 ოფსეტის ანგარიშის ვალუტა არ შეიძლება განსხვავდებოდეს კლიენტის საბანკო კრედიტის (რომელზეც ხორციელდება ოფსეტ ფუნქციის გააქტიურება) ვალუტისგან;

3.17.4 ოფსეტის ანგარიშზე განთავსებულ თანხას არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი;

3.17.5 ოფსეტით სარგებლობის შემთხვევაში, საბანკო კრედიტზე დასარიცხი პროცენტი დაანგარიშდება შემდეგნაირად: საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ოფსეტის ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს დაფიქსირებულ ნაშთსა და საბანკო კრედიტის მიმდინარე ნაშთს შორის არსებულ სხვაობას (თანხებს შორის სხვაობას);

3.17.6 მინიმალური ოდენობა სადამდეც შესაძლებელია, ოფსეტის ფუნქციის გამოყენებით შემცირდეს საბანკო კრედიტზე თვიური დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი, შეადგენს საბანკო კრედიტის მიმდინარე ნაშთის 50%-ს;

3.17.7 თუ ოფსეტის ანგარიშზე დაფიქსირებული ნაშთი ნაკლებია 100 (ასი) ლარზე/დოლარზე/ევროზე, მაშინ ოფსეტი არ გამოყენება;

3.17.8 ოფსეტით სარგებლობაზე უარის თქმა კლიენტს განცხადების საფუძველზე შეუძლია ნებისმიერ დროს.

3.17.9 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის წინასწარი შეტყობინებების / ინფორმირების გარეშე, ცალმხრივად განახორციელოს ოფსეტის გაუქმება

3.17.10 ოფსეტის ფუნქციით სარგებლობის დეტალური პირობები, გამონაკლისები და სხვა აუცილებელი მოთხოვნები (კრიტერიუმები), დეტალურად არის აღწერილი ვებგვერდზე - http://www.tbcbank.ge/სესხები/იპოთეკური სესხი/ოფსეტი განთავსებულ საინფორმაციო მასალაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მწვანე სესხის შემთხვევაში:

3.18 კლიენტი აცნობიერებს, რომ სარგებლობს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს N93/04 ბრძანებით (შემდგომში „ბრძანება) განსაზღვრული მწვანე სესხით.

3.18.1 მწვანე სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს: მწვანე სესხის მიზნობრიობა

3.18.2 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბანკს, თუ მწვანე სესხის გაცემის შემდგომ მის მიერ დაირღვევა კრედიტის მიზნობრიობა / მწვანე სესხის მიზნობრიობა. ამასთან, კლიენტის მიერ კრედიტის მიზნობრიობის / მწვანე სესხის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებები.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ბანკი	კლიენტი/მსესხებელი
სს "თიბისი ბანკი"	**სახელი გვარი**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595	პასპორტის /პირადი ნომერი
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7	მისამართი:
ტელეფონის ნომერი: +99532 2272727	ტელეფონის ნომერი:
საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი" (მის. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2)	ელ. ფოსტა:
_____	_____
ფაქსიმილე (ხელმოწერის ნიმუში)	ფაქსიმილე (ხელმოწერის ნიმუში)
_____	_____
ხელმოწერა (სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)	ხელმოწერა (სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების # ?? (შემდგომში „ხელშეკრულება“)
დანართი #1

20…წლის რიცხვი, თვე

1 კლიენტი აცნობიერებს / თანახმაა, რომ:

1.1 ჩაერთოს „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 02 აგვისტოს N388 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება“) გათვალისწინებულ პროგრამაში (შემდგომში „პროგრამა“).

1.2 პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ „აწარმოე საქართველოში“-მ (შემდგომში „სააგენტო“) განახორციელოს ხელშეკრულების საფუძველზე, კლიენტის სასარგებლოდ გაცემულ იპოთეკურ სესხ(ებ)ზე/კრედიტ(ებ)ზე დარიცხული წლიური საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება (შემდგომში „თანდაფინანსება“ ან „სუბსიდირება“).

1.3 სუბსიდირების ფარგლებში, ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის სასარგებლოდ გაცემულ სესხ(ებ)ზე/კრედიტ(ებ)ზე სააგენტომ განახორციელოს დარიცხული საპროცენტო განაკვეთის/სარგებლის თანადაფინანსება სესხის/კრედიტის გაცემიდან 60 (სამოცი) თვის განმავლობაში, შემდეგი

1.3.1 წესით/ოდენობით:

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს სესხის აღების / გაცემის მომენტში ყავს 1 ან 2 შვილი (ხელშეკრულების მიზნებისთვის, „შვილი“ განიმარტება შემდეგნაირად: მსესხებლის არასრულწლოვანი შვილი/შვილად აყვანილი/გერი (შემდგომში „შვილი“)), სესხის/კრედიტის პროცენტის (ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებულ) გადახდის მომენტში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს (შემდგომში „რეფინანსირების განაკვეთი“) გამოკლებული 3.5%-ის ოდენობით,

1.3.2 მაგრამ არაუმეტეს 6%-ისა;

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს სესხის აღების / გაცემის მომენტში ყავს 3 ან მეტი შვილი, სესხის/კრედიტის პროცენტის (ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებულ) გადახდის მომენტში, საქართველოს

1.3.3 ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 1.5%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 8%-ისა;

საპროცენტო განაკვეთის/სარგებლის თანადაფინანსება განხორციელდება იმ დრომდე სანამ რეფინანსირების განაკვეთი გაუტოლდება 5%-ს. ასეთ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ შეწყდება სუბსიდირების ფარგლებში, ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის სასარგებლოდ გაცემულ

1.3.4 სესხ(ებ)ზე/კრედიტ(ებ)ზე პროცენტის სუბსიდირება. რეფინანსირების განაკვეთის 5%-ზე მეტად გაზრდისთანავე, სააგენტოს მიერ შეწყვეტილი სუბსიდირება, ავტომატურად განახლდება, სუბსიდირების დარჩენილი ვადით;

იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხის/კრედიტის ვადა 60 (სამოცი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ სესხზე/კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის/კრედიტის ვადით;

2 კლიენტი აცნობიერებს, რომ სუბსიდირება გავრცელდება კლიენტის მიერ ბანკისგან პროგრამის ფარგლებში ფაქტობრივად აღებულ სესხ(ებ)ის/კრედიტ(ებ)ის ოდენობაზე, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 200000 (ორასი ათასი) ლარს.

3 კლიენტი აცნობიერებს, რომ კრედიტის დაფარვა (ძირითადი თანხა, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და სხვა) არის კლიენტის ვალდებულება სრულად (მიუხედავად იმისა არსებობს/იარსებებს თუ არა სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება). შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან ნებისმიერი სახის თანადაფინანსების შეფერხების ან შეჩერების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში (მიუხედავად მიზეზისა), ბანკს

4 არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სააგენტოს მიერ თანადაფინანსების/სუბსიდირების ნებისმიერი მიზეზით შეჩერების ან/და შეწყვეტის ან/და შეფერხების შემთხვევაში, კლიენტი არ თავისუფლდება ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისგან და კლიენტი მთელი თავისი ქონებით იქნება პასუხისმგებელი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის თავად, სრულად დაფარავს ნებისმიერ საკრედიტო დავალიანებას (კრედიტის ძირითად თანხას, კრედიტზე დარიცხულ

5 კლიენტი აცნობიერებს, რომ პროგრამის სუბსიდირების ფარგლებში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ შეწყდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოების დადგომისას:

5.1 კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, კერძოდ, ხელშეკრულების/სესხის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის 120 (ასოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების და/ან ბანკის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღებისას;

5.2 კლიენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

5.3 ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისას;

5.4 პროგრამით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ განხორციელებული სესხის/კრედიტის რესტრუქტურიზაცია/ რეფინანსირებისას და/ან გრაფიკის იმგვარი ცვლილებით, რის საფუძველზეც იცვლება (იზრდება) სააგენტოს მიერ გადასხადელი სუბსიდირების თავდაპირველი ვადა;

5.5 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით/საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში;

5.6 კლიენტის მიერ ხელშეკრულების/კრედიტის მიზნობრიობის დარღვევისას;

5.7 სესხის გაცემიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, არ იქნება წარმოდგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, ქორწინების მოშლის (განქორწინების) რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე;

5.8 ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული/გასაცემი კრედიტის/სესხის თანხით შესაძენ/გასარემონტებელ უძრავ ქონებაზე, ბანკის იპოთეკის (უფლების) რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;

5.9 ბანკის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში;

5.10 დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის N387 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში, მსესხებლის სასარგებლოდ გაცემულია სესხი / საბანკო კრედიტი;

5.11 საქართველოს კანონმდებლობით და/ან პროგრამით/დადგენილებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში / სუბსიდირების შეწყვეტის სხვა წინაპირობების არსებობისას;

6 ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული შენატანის (კლიენტის წილის) გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, შესაბამის თვეში გადასახდელი, ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსების წილი თანხა (პროგრამით განსაზღვრული პირობების დაცვით), ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე და შემდგომ, კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტოდ, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოწეროს და მიმართოს კლიენტის სასარგებლოდ გაცემულ სესხზე/კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ვალდებულების) დასაფარად.

7 ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა / ხელშეკრულება, თუ კლიენტს ნებისმიერი მიზეზით შეუწყდება ან შეუჩერდება პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება ან/და კლიენტი ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით (მათ შორის ყადაღა, ინკასო, აკრძალვა ან სხვა შეზღუდვა) ვერ შეძლებს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტს ბანკისთვის/სააგენტოსთვის წარდგენილი ექნება არასწორი/მცდარი ინფორმაცია (მიუხედავად კლიენტის ბრალეულობისა). იმ შემთხვევაში თუ ბანკი კლიენტთან შეწყვეტს საკრედიტო ურთიერთობას / ხელშეკრულებას, კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნისთანავე, სრულად დაფაროს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები/დავალიანება.

8 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ გამოიყენებს მისთვის, წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკს უფლება აქვს, კლიენტს ცალმხრივად შეუცვალოს ხელშეკრულების (მათ შორის მისი დანართ(ებ)ით / შეთანხმებ(ებ)ით დადგენილი) ნებისმიერი და/ან ყველა პირობა.

9 კლიენტი ვალდებულია დაიცვას კრედიტის/ხელშეკრულების მიზნობრიობა.

10 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

10.1 გაეცნო დადგენილებას და პროგრამით გათვალისწინებულ პირობებს სუბსიდირებასთან დაკავშირებით (მათ შორის გაეცნო სუბსიდირების შეწყვეტის პირობებს);

10.2 ბანკისგან მიეწოდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია დადგენილებასთან, პროგრამასთან და თანადაფინანსების პირობებთან, მათ შორის სუბსიდირების შეწყვეტის პირობებთან დაკავშირებით;

10.3 კლიენტის მიერ ბანკისთვის/სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი.

10.4 სრულად აკმაყოფილებს პროგრამით/დადგენილებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, მათ შორის სუბსიდირების ყველა კრიტერიუმს;

10.5 საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისთანავე და/ან დაკარგვის რისკის დადგომისთანავე აცნობებს ბანკს აღნიშნულის თაობაზე და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგენს შესაბამის

10.6 დოკუმენტებს/ინფორმაციას;

ბანკს სრულად აუნაზღაურებს არასწორი/მცდარი ინფორმაციის მიწოდებით და/ან ხელშეკრულების/პროგრამის/დადგენილების პირობების დარღვევის შედეგად, ბანკისთვის მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანს (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ დაარღვია კრედიტის/ხელშეკრულების მიზნობრიობა და/ან განხორციელდა თანადაფინანსების თანხის არამიზნობრივი გამოყენება). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს, სუბსიდირების ფარგლებში მიღებული/გამოყენებული თანადაფინანსების თანხის სრულად დაბრუნება/გადახდა და სააგენტოს მიერ ბანკისთვის დაკისრებული სანქცი(ებ)ის/პირგასამტეხლოს/ების თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა;

11 კლიენტი აცნობიერებს, რომ სააგენტო/ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი შეტყობინების / თანხმობის გარეშე, განახორციელოს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ის/კრედიტ(ებ)ის მონიტორინგი, ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის სასარგებლოდ გაცემული სესხ(ებ)ის/კრედიტ(ებ)ის, პროგრამის / სუბსიდირების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის / კრედიტის/სესხის მიზნობრიობის შესრულების მონიტრონიგის მიზნით.

12 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა პროგრამის / სუბსიდირების მიზნებისთვის, სრულად და შეუზღუდავად გადასცეს სააგენტოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მათ შორის, კლიენტის შესახებ ფინანსური ინფორმაცია, კლიენტის პერსონალური მონაცემები, ამ ინფორმაციის/მონაცემების ამსახველი დოკუმენტები, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მისი დანართები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც ბანკს გააჩნია და/ან რომელიც კლიენტმა ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინა ბანკს პროგრამის / სუბსიდირების კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენის / დადასტურების მიზნით).

13 წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ბანკი
სს "თიბისი ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7
ტელეფონის ნომერი: +99532 2272727
ფილიალის მისამართი: null
საზედამხედველო ორგანო: "საქართველოს ეროვნული ბანკი" (მის. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2)

_____
ფაქსიმილე (ხელმოწერის ნიმუში)

_____

კლიენტი/მსესხებელი
სახელი, გვარი
პირადი ნომერი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელ. ფოსტა: